



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგაშვილი გიორგი რევაზის ძე

გოგაშვილი გიორგი რევაზის ძე (დ. 8. X. 1960, თბილისი), ბრიგადის გენერალი (2003).

1982 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის საინჟინრო ფიზ. ფაკ-ტი, 1987 – მოსკოვის სსრკ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სკოლა, 2002 – თავდაცვის უწყების ენების ინ-ტი (სან-ანტონიო, აშშ), 2003 – ეროვნ. თავდაცვის უნ-ტი (ქ. ვაშინგტონი), იქვე მიენიჭა მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი ეროვნ. უსაფრთხოების სტრატეგიის დარგში. 1987-91 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. უშიშროების კომიტეტის დაზვერვის განყ-ბაში, 1992-96 – საქართვ. თავდაცვის სამინისტროს სპეც. დანიშნულების მთავარ სამმართველოში (სამხ. დაზვერვა); 1996-97 იყო საქართვ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს ანალიტიკური სამსახურის წამყვანი სახელმწ. მრჩეველი, 1998- 2002 – საქართვ. თავდაცვის სამინისტროს გენ. ინსპექციის უფროსი,

2003-04 – საქართვ. თავდაცვის ეროვნ. აკად. რექტორი. 2004-იდან არის თბილისის პოლიტ. სწავლების სკოლისა და ევროკავშირის უნ-ტის სტრატეგიული კვლევის ცენტრის ექსპერტი.

ლ. დოლიძე